



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 თებერვალი, 2013 წელი

დრო: 17:00 – 19:00

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. დავით ნარმანია - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი
2. მანანა ქოჩლაძე - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე
3. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (თანაკოორდინატორი)
4. ნინო ელიზბარაშვილი - საქართველოს ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (თანაკოორდინატორი)
5. ლალი მანაშერიძე - საერთაშორისო ფონდი "ლეა"
6. მარინა სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი "ლეა"
7. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
8. გივი ქოჩორაძე - კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი
9. ლაშა ბლიაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
10. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
11. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
12. ლევან სისვაძე - მდგრადი განვითარების საერთაშორისო ფონდი
13. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი

14. ვახტანგ კობალაძე - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
15. ლევან ბოჭორიშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"
16. თემურ თორდინავა - კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი
17. ივანე ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
18. პავლე ცაგარეიშვილი - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
19. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
20. თამარ კოვზირიძე - ცოდნის ფონდი
21. ლევან ცხაკაია - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"
22. ლილი ბეგიაშვილი - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი
23. ევა გეგეშიძე - ჯუნიორ ეზიმენტი საქართველო
24. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
25. სერგო ესაკია - ენერგეტიკისა და კომუნიკაციების განვითარების ჯგუფი

განსახილველი საკითხები:

1. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ამოცანები და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის პერსპექტივები
2. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე თემატური ჯგუფის სამოქმედო გეგმა
3. აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის შექმნა

ჯგუფის შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ. მან ხაზი გაუსვა შეხვედრის მნიშვნელობას და იმ ფაქტს, რომ დღეს საქართველოში არასამთავრობო სექტორს აქვს შესაძლებლობა ფართოდ და ღიად წარმართოს დიალოგი ახალ ხელისუფლებასთან. თავმჯდომარის თქმით, ამის ნათელი მაგალითია ჯგუფის შეხვედრაზე ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის სტუმრობა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში გადასვლამდე ორი წელი იყო მეორე სამუშაო ჯგუფის თანაკოორდინატორი. მინისტრმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო ძალიან აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო სექტორთან. ამის დასტურია 2013 წლის სამოქმედო გეგმა (იანვრის დასაწყისიდან განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე), სადაც გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ნაწილში მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი პრინციპია. ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, თანამშრომლობის ახალი

ფორმატი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს თავად არასამთავრობო ორგანიზაციებს მუშაობის როგორც თემატური, ასევე ხარისხობრივი გაუმჯობესების თვალსაზრისით.

შეხვედრის პირველ ნაწილში მინისტრმა დამსწრეებს გააცნო სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, 2013 წლის ბიუჯეტი და სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი მიდგომები. მინისტრის თქმით, სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტი 901 მილიონ ლარს შეადგენს. მისი დიდი ნაწილი, 501 მილიონი, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის არის გამოყოფილი, 182 მილიონი - მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ადგილობრივ თვითმმართველობებში განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამებისთვის. აღნიშნული გულისხმობს კულტურული, ისტორიული და ტურისტული ადგილების რეაბილიტაციას ადგილობრივ თვითმმართველობებთან, კულტურის სამინისტროსთან და ტურიზმის დეპარტამენტთან შეთანხმებით. ადგილობრივი თვითმმართველების საქალაქო დასახლებებში წყალმომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის განსაზღვრულია 130 მილიონი ლარი, ხოლო 82 მილიონი გამოყოფილია დევნილთა სახლების მშენებლობისა თუ არსებული ყოფილი პრობლემების მოსაგვარებლად. ბიუჯეტის დიდი წილი, 485 მილიონ ლარამდე, მოდის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოზიდულ კრედიტებზე. ძირითადი დონორები არიან მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ევროპის საინვესტიციო ბანკი. ბიუჯეტის 75 მილიონ ლარამდე მოდის გრანტ კომპონენტზე, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია USAID გრანტით დევნილთა სახლების მშენებლობის მხარდაჭერისთვის, ხოლო 342 მილიონ ლარამდე არის საბიუჯეტო სახსრები. მინისტრმა აღნიშნა, რომ პროგრამებისა და პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება კრედიტებით, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია ფაქტია, იმის გათვალისწინებით, რომ კრედიტებს გააჩნია თავისი ვადიანობა, საჭიროა მომსახურების პროცენტის გადახდა, ამასთანავე იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი. შესაბამისად, სამინისტროს ძირითადი მიზანია შექმნას გაცილებით უფრო ხანგრძლივადიანი ინფრასტრუქტურა, რათა კრედიტების გადახდის ვადის დადგომამდე, მწყობრიდან არ გამოვიდეს ინფრასტრუქტურა. გონივრული ფინანსური მენეჯმენტისა და ინიცირებული პროექტების დროულად განხორციელების პირობებში სამინისტროს ექნება შესაძლებლობა 2013 წელს დახარჯოს 180 მილიონი ლარით მეტი ვიდრე წინა წელს.

მინისტრის თქმით, სამინისტროს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანაა სერვისის ხარისხის გაუმჯობესება, რადგან ბევრი მიმართულებით არ არსებობს თანამედროვე სტანდარტები და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის პროცესში დღესაც გამოიყენება საბჭოთა პერიოდის სტანდარტები. ავტომაგისტრალების შემთხვევაში გამოიყენება იმ ქვეყნების სტანდარტები, რომლის დონორი ორგანიზაციების დაფინანსებითაც ხორციელდება ესა თუ ის პროექტი. შესაბამისად, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროსთან ერთად გეგმავს აქტიური მუშაობის დაწყებას ახალი სტანდარტების შემოღებაზე, რომელიც დაკავშირებული იქნება ინოვაციურ ტექნოლოგიებთან და სამინისტროს მისცემს ხანგრძლივადიანი ინფრასტრუქტურული პროექტების ფორმირების საშუალებას. გარდა ამისა, მოხდება სატენდერო პირობებში უფრო მკაცრი და მკაფიო ხარისხის მოთხოვნების განსაზღვრა იმისათვის, რომ სასამართო ექსპერტიზის ეროვნული ბიურის მეშვეობით სამინისტროს მიუდმივად შეეძლოს სამუშაოს შემსრულებლის კონტროლი როგორც ფინანსურად, ასევე ხარისხობრივად.

მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტროში ერთდორულად დაახლოებით 250 - მდე სხვადასხვა პროექტი და პროგრამა ხორციელდება. იქმნება გეოინფორმაციული სისტემა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ქვეყანაში არსებული სრული ინფრასტრუქტურული სურათის წარმოდგენა და საჭიროებების დადგენა. გერმანიის დახმარებით სამინისტრო გეგმავს პრიორიტეტების დადგენის მეთოდოლოგიისა და პროექტების შერჩევის ინსტრუქციის დამკვიდრებას საქართველოში. სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების თავიდან ასაცილებლად, ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული სისტემა განსაზღვრავს თუ რომელი პროექტია გადაუდებელი აუცილებლობის და რომელი შემდეგ ეტაპზე განსახორციელებელი.

მინისტრის თქმით, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია. სატენდერო პროცედურების მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მიმდინარე წლის დასაწყისში სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ყველა მიმდინარე პროგრამა და პროექტი (მათ შორის გარდამავალი და 2013 წელს ინიცირებული) დაყოფილი რეგიონებისა და რეგიონებში შემავალი მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასევე მათი დაწყებისა და დასრულების ვადები. ინფორმაცია ახალი პროექტების შესახებ ეხმარება დაინტერესებულ კომპანიებს წინასწარ მოემზადონ ტენდერებისთვის.

მინისტრმა აღნიშნა, რომ გაძლიერდა ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახური, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მიმდინარე პროექტების ბიუჯეტების გადამოწმება. შემოწმების შედეგად რიგ შემთხვევებში ფიქსირდება არაადეკვატურად მაღალი ფასები სამშენებლო მასალებზე. ამის შესახებ ინფორმაცია იგზავნება საგამომიებო ორგანოებში. ამ ეტაპისთვის ასეთი 30 - მდე მასალა არსებობს. პროექტების ბიუჯეტების გადამოწმება პრევენციული სახის ღონისძიებაც არის. კომპანიები უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან ხარჯთაღრიცხვის შემუშავების პროცესს, როცა ეცოდინებათ, რომ ფინანსურად მოწმდება ყველა მიმდინარე პროექტი.

მინისტრის თქმით, ძალიან დიდი ყურადღება ექცევა გამჭვირვალობასა და საზოგადოების ინფორმირებას. სამინისტროს ვებ-გვერდზე დევს ყველა პროექტი და პროგრამა, 2013 წლის სამოქმედო გეგმა, ინფორმაცია მინისტრის თუ მისი მოადგილეების შეხვედრების შესახებ. გარდა ვებ-გვერდისა, ინფორმაცია ვრცელდება ასევე სოციალური ქსელის (Facebook) მეშვეობით. ყველა შეხვედრა იწერება სამინისტროს შიდა კამერით და მიეწოდება ტელევიზიებს, მათ შორის რეგიონალურ მაუწყებელთა ასოციაციას. ხდება მოსახლეობისგან შემოსულ კითხვებზე რეაგირება. მაგ, Facebook - ით მიღებული ინფორმაცია იფილტრება, ნაწილი მიდის მინისტრთან, ნაწილი - მის მოადგილეებთან და ნაწილიც - პირდაპირ შესაბამის სამსახურებთან. მიმდინარეობს ასევე მოქალაქეთა მიღება, რაც აქამდე არ ხდებოდა. ყოველ ხუთშაბათს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ხვდება მოქალაქეებს, საჭიროების შემთხვევაში ხდება მინისტრთან შეხვედრების ორგანიზებაც. სამინისტრომ აიღო ვალდებულება წელიწადში მინიმუმ ორჯერ (საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც) გამართოს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საკოორდინაციო და საინფორმაციო შეხვედრები იმართება ასევე დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამინისტროში მიმდინარე ყველა პროექტზე მათი ინფორმირების უზრუნველყოფის მიზნით. ორი ასეთი შეხვედრა უკვე ჩატარდა 2012 წლის ბოლოს და 2013 დასაწყისში. მიმდინარეობს შეხვედრები დაინტერესებულ კომპანიებთან. კვირაში დაახლოებით 12-15 კომპანიას ხვდებიან როგორც მინისტრი, ასევე მისი მოადგილეები და

აწვდიან ინფორმაციას ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობის წესების, ნორმების და არსებული რეგულაციების შესახებ. მინისტრის თქმით, მას უკვე ჰქონდა შეხვედრა ყველა იმ კომპანიასთან, რომელსაც რაიმე სახის ინტერესი გამოუხატავს სამინისტროში მისვლით თუ წერილის მიწერით. მოწვეული 100 სტუმრის ნაცვლად შეხვედრას დაესწრო 150 ადამიანი. სამინისტროს ფარგლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან შეიქმნა ორი საკონსულტაციო საბჭო. ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებული საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა უშუალოდ სამინისტროს ინიციატივით, ხოლო მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საბჭო - არასამთავრობო ორგანიზაციების თხოვნით.

რაც შეეხება ტექნიკურ პროექტებს, მინისტრის თქმით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სხვადასხვა მონაკვეთებზე დაახლოებით 250 კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია და ახალი გზების მშენებლობა, 25 საქალაქო ტიპის დასახლებაში და 3 დაბაში დაიწყება წყალმომარაგების სისტემის სამუშაოები. 2013 წლის იანვრიდან სამინისტრომ დაიწყო ნაგავსაყრელების მართვა მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის სახით, რომლის სახელმწიფო კონტროლსაც ახორციელებს სამინისტრო. შერჩეულია 9 პრიორიტეტული ნაგავსაყრელი, სადაც პირველი რიგის გადაუდებელი სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

მინისტრის მოხსენების დასრულების შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენელი დაინტერესდა შედის თუ არა სამინისტროს საქმიანობაში სატრანსპორტო საკითხები. მინისტრის თქმით, სატრანსპორტო პოლიტიკა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის სფერია, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო არის აღმასრულებელი საავტომობილო გზების მოწესრიგების კუთხით. აღნიშნული გულისხმობს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებს, მუნიციპალური გზების ადმინისტრირებას ადგილობრივი თვითმმართველობები ახორციელებენ.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენელი დაინტერესდა, აპირებს თუ არა სამინისტრო თვითმმართველობის საკითხებზე უფრო აქტიურ მუშაობას, ან რომელი სახელმწიფო ორგანო იქნება წამყვანი ამ მიმართულებით. მინისტრის თქმით, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრომ, რომელიც მთავრობის მხრიდან ამ პროცესებში წამყვანი სახელმწიფო ორგანოა, პარლამენტის ადგილობრივი თვითმმართველობის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებთან ერთად ნოემბრიდან დაიწყო აქტიური მუშაობა რეფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონსულტაციებში მონაწილეობდა ასევე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან შემდგარი საბჭო. სტრატეგიის მონახაზი უკვე შემუშავებულია და მარტში დაიწყება საჯარო განხილვები. დოკუმენტი 15 გვერდიანია და მოიცავს ყველა ძირითად მიმართულებას. დაიწყო ასევე კონკრეტულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფების ფორმირება, რომლებიც იმუშავენ 10 მიმართულებით, კერძოდ კომპეტენციების გამიჯვნა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის, ფინანსური და ქონებრივი საკითხები, ადმინისტრაციული ზედამხედველობა და ა.შ. ჯგუფები წარმოადგენენ ინფორმაციას არსებული მდგომარეობის შესახებ და რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა განვითარდეს ეს თუ ის მიმართულება. ამის შემდეგ მომზადდება რეფორმების უზრუნველყოფის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი. დაახლოებით გაზაფხულის ბოლოსთვის სამინისტრო გეგმავს ძირითადი კანონპროექტების პარლამენტში გაგზავნას.

იგეგმება ასევე ტრენინგ პროგრამები, რომლის ფარგლებში მოხდება დაახლოებით 1000 - მდე ადგილობრივი მოხელის გადამზადება. ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება რეგიონული პროექტი, რომელიც გულისხმობს რეგიონების ეკონომიკური განვითარების გეგმების მომზადებას. ჯერ მომზადებულია მხოლოდ 2 დოკუმენტი, მოსამზადებელია კიდევ 6 გეგმა.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის წარმომადგენელი დაინტერესდა მონაწილეობს თუ არა არასამთავრობო სექტორი ეკონომიკური განვითარების გეგმების მომზადებაში. მინისტრმა აღნიშნა, რომ სამინისტროს აქვს არა მხოლოდ სურვილი ან შესაძლებლობა, არამედ ვალდებულება უზრუნველყოს სამოქალაქო სექტორის ჩართულობა. პლატფორმის თავმჯდომარის აზრით, კარგი იქნება აღნიშნული გეგმების შემუშავებაში უფრო სტრუქტურულად ჩაერთონ ცენტრში მომუშავე ორგანიზაციები. სასურველი იქნება, თუ დოკუმენტის სამუშაო ვერსია დაიდება ვებ-გვერდზე და არასამთავრობო ორგანიზაციებს ექნებათ საშუალება 30-45 დღის ვადაში წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და კომენტარები. თავმჯდომარის თქმით, მართალია ადგილობრივი ორგანიზაციები ძალიან არიან მოწადინებული, თუმცა ხშირ შემთხვევაში არ იციან როგორ და რა ფორმით უნდა ჩაერთონ გეგმების შემუშავებაში. ამიტომ სასურველია წინასწარ მოხდეს მათი მომზადება და იმის ახსნა, თუ როგორ უნდა მიიტანონ პრობლემები ადრესატამდე. მეწარმე ქალთა ფონდის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა პროცესებში რეგიონული ორგანიზაციების ჩართვის აუცილებლობას.

კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საინოვაციო კოალიციას შეუძლია სამინისტროს შესთავაზოს ისეთი ელექტრონული სერვისები, როგორც არის ელექტრონული სწავლება, მედიცინა, სამეცნიერო კონსალტინგი, ახალი ეკონომიური სტრუქტურების შექმნა და სხვა. მინისტრის თქმით, შესაძლებელია პლატფორმის ან მეორე სამუშაო ჯგუფის დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ან საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც გამართავს კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მინისტრმა აღნიშნა, რომ მიმდინარე თვის ბოლომდე უზრუნველყოფს პლატფორმის წევრებთან პირველი შეხვედრის ორგანიზებას.

ცოდნის ფონდის წარმომადგენელი დაინტერესდა თუ რას გულისხმობს სარეკომენდაციო სტანდარტები და რა გავლენას იქონიებს თანამედროვე სტანდარტების შემოღება კომპანიების ხარჯებზე. მინისტრის თქმით, სარეკომენდაციო სტანდარტები გულისხმობს ნებაყოფლობით სტანდარტებს ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, რადგან მათ არ აქვთ იმის ექსპერტიზა, ჰქონდეთ სტანდარტები ან გამოიყენონ სარეკომენდაციო სტანდარტები. საქართველო-ევროკავშირის ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება სამ სფეროში ჰქონდეს მინიმალურად აუცილებელი სტანდარტები ადგილობრივი თვითმმართველობისთვის, რომელსაც ექნება სარეკომენდაციო ხასიათი. სამინისტროს ხედვით ეს სამი სფეროა ადგილობრივი გზები, გარე განათება და სანიაღვრე სისტემები. გარა ამისა, იგეგმება შიდასახელმწიფოებრივი გზების სტანდარტებისა და სხვა სტანდარტების შემოღება. რაც შეეხება ხარჯებს, მინისტრის თქმით, სტანდარტების შემუშავებასთან ერთად მიმდინარეობს ხარჯების გამოთვლაც. სტანდარტების შემუშავებამდე

ჯერ მოხდება ხარჯების გამოთვლა იმისთვის, რომ კომპანიები მომზადებულები შეხვდნენ ახალი სტანდარტების შემოღებას.

მინისტრის ინფორმაციით, დასრულდა მოლაპარაკება აზიის განვითარების ბანკთან, რომელიც მზად არის გამოყოს დაახლოებით ორ მილიონ ლარამდე ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებული გზების, წყალმომარაგების და მასალების გამოცდის ლაბორატორიის განახლებისთვის. მოეწყობა ასევე გამოსაცდელი პოლიგონი, სადაც მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოცდა. გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომ უცხოელი თუ ადგილობრივი ექსპერტების დახმარებით, ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების ორი წელი იქნება თეორიული და შემდეგი ორი მთლიანად პრაქტიკული, განსხვავებით არსებული სისტემისა, როცა ოთხივე წელი ისწავლება მხოლოდ თეორიული მასალა.

ენერგეტიკისა და კომუნიკაციების განვითარების ჯგუფის წარმომადგენელი დაინტერესდა თუ როგორია სამინისტროს ხედვა საინოვაციო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით. მინისტრის თქმით, სამინისტრო აგროვებს ინფორმაციას საინოვაციო ტექნოლოგიებზე მომუშავე ორგანიზაციებისგან და მიმდინარე წლის მასში ან ივნისის დასწყისში გეგმავს სამშენებლო და ინფრასტრუქტურული სექტორის საინოვაციო ტექნოლოგიებზე კონფერენციის ორგანიზებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს ხელს შეუწყობს როგორც ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას, ასევე კომპანიების ერთმანეთთან დაახლოებას.

ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზეგავლენის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მნიშვნელობას. მისი თქმით, აუცილებელია არსებულ პრობლემებზე დიალოგის დაწყება და კომპენსაციების რელევანტურობის განსაზღვრა.

შეხვედრის მეორე ნაწილში ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს 2013 წლის სამოქმედო გეგმაზე. თანაკოორდინატორებმა დამსწრეებს გააცნეს ჯგუფის რამდენიმე წევრების მიერ შემოთავაზებული საკითხების ჩამონათვალი, რომელიც უკვე აისახა ჯგუფის სამოქმედო გეგმაში. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლის თქმით, სამოქმედო გეგმას უნდა დაემატოს საკითხი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ. სასურველია ჯგუფმა მოიწვიოს ეკონომიკის მინისტრი და მისგან მიიღოს ინფორმაცია მოლაპარაკებების პროცესის, მიმდინარე რეფორმებისა და პრობლემური სფეროების შესახებ. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის წარმომადგენლის თქმით, კარგი იქნება თუ გეგმაში ერთ-ერთ საკითხად ჩაიწერება ჯგუფის სამუშაო თემატიკასთან დაკავშირებული სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მოსმენა. კვლევების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლის ინფორმაციით, მოლდოვა გახდა მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ასოცირებული წევრი. ამ პრაქტიკის გათვალისწინებით კარგი იქნება თუ პლატფორმა წამოაყენებს იდეას ახალ შვიდწლიან ჩარჩო პროგრამაში საქართველოს ასოცირებული წევრობის შესახებ. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენელმა გამოყო ორი საკითხი, რომელიც მისი აზრით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჯგუფის სამოქმედო გეგმაში, ესენია: კანონპროექტები ფერმერული კოოპერატივებისა და სამშენებლო კოდექსის

შესახებ. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პოლიტიკის ანალიზის ცენტრის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია ასევე საპენსიო, დაზღვევის და ჯანდაცვის საკითხები.

ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქცენტები უნდა კეთდებოდეს არა მხოლოდ მცირე და საშუალო ბიზნესზე, არამედ ზოგადად საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოზე. კანონქვემდებარე აქტები ფისკალურ პოლიტიკაში და დაგვიანებული მონეტარული პოლიტიკა განაპირობებს ისეთი ბიზნეს გარემოს შექმნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სასათბურე პირობებს ვერც დიდი და ვერც მცირე ბიზნესისთვის. კანონები და ქვეადმინისტრირების აქტები არ არის ერთმანეთისგან დიფერენცირებული და ზღუდავს ფაქტობრივად ყველაფერს. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვეადმინისტრაციული აქტების ნებისმიერი შემოტევა ხორციელდება არა მხოლოდ მცირე, არამედ ზოგადად ბიზნესზე, რაც საბოლოო ჯამში ზემოქმედებს მთლიანად ეკონომიკურ განვითარებაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლის აზრით, საქართველო იმყოფება ანომალური სიტუაციაში და აუცილებელია გატარდეს თანმიმდევრული პოლიტიკა.

მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ შეხვედრაზე განხილული საკითხები დაემატება ჯგუფის სამოქმედო გეგმას. გარდა ამისა, წევრებს ექნებათ შესაძლებლობა ერთი კვირის ვადაში ელექტრონულად მოიწერონ სხვა მათთვის საინტერესო საკითხები.

შეხვედრის ბოლოს დამსწრეებმა იმსჯელეს აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის შექმნაზე. თანაკოორდინატორმა დამსწრეებს აცნობა, რომ საერთო კრებაზე ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაციის წარმომადგენლის მიერ დაყენებული საკითხი ამ ქვეჯგუფის შექმნაზე დადებითად გადაწყდა. ქვეჯგუფში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა პლატფორმის 17 წევრმა ორგანიზაციამ. შეხვედრაზე ჩატარდა ქვეჯგუფის კოორდინატორის არჩევნები. დასახელდა ორი კანდიდატი: კახა ნადირაძე (ფერმერთა უფლებების ასოციაცია) და თემურ თორდინავა (კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი). ხმათა უმრავლესობით ქვეჯგუფის კოორდინატორად არჩეულ იქნა კახა ნადირაძე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია